

**რ**აც შეეხება მის იუმორისტულ (და აგრეთვე სატირულ) გრაფიკას: მეგონბარ და ახლობელ მხატვართა შარყებში ზესტად „ჩავლებული“ სახასიათო ნიშნები გარკვეული ზომიერების ფარგლებშია აქცენტირებული, ხედვა კი „მხიარულია“ კეთილგანწყობით, სითბოთი და გულითადობით არის სავსე. ეს ჩანს არა მხოლოდ ცალკეულ მაგალითებში, არამედ საქმარისად მასშტაბურ, „პაროსებურად ყრებით“ კარიქატურებში, სადაც „თავი მოუყრია“ თითქმის ყველა თაობის გამოჩენილი ოსტატს. ამ ნამუშევრებში დამახასიათებლობა - ურთიერთმიმართებათა კონტაქტუალურობასთან კავშირში, კიდევ უფრო სარწმუნო და ხატოვანი ხდება.


სულ სხვა რიგის გახლავთ პოლიტიკური კარიქატურები, რომლებშიც ავტორი ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენს. თავისი მძაფრად მწვავე სატირულობით და რამდენადმე უყმები კრიტიკული ჰათოსით ეს სერიალი გარკვეულწილად ფომიეს ტრადიციასთან ჰქოვებს გადაახილს (უფრო განწყობით, ვიდრე აღნაგობით). სატირულობის სიმძაფრითა და დამატიქსირებლობით ვეჯობ, სხვა რომელსამე ჩვენს მხატვარს შეექმნა ასეთი გაბედული, ზოგან კი მხილებითი ნაწარმოებები. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველსავე ამას კვლავ და კვლავ ქვეყნის სიყვარულით, „მოყვარეს პირში უძრავე“ პრინციპით ახორციელებდა და არასგზით, რაიმე სხვა, უფრო ვიწრო მოტივითა თუ ინტერესით. თუკი ჩვენი ქვეყნის მომავალს და მის განვითარებას დემოკრატიულობის პოზიციებით ვჭრებთ, მაშინ ეს სერია ნინგადადგმული ნაბიჯია ჩვენში თავისუფალი აზრისა და არაკონიუნქტურული პოზიციათა დამჯვიდრების გზაზე, იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონს თუ არ მოსწონს ეს ვისმეს.

### სასმონ ლეჯვა

**A**s for his humorous (as well as satirical) graphic works, in well-meant caricatures of his friends he accurately grasped and moderately accentuated their characteristic traits, his vision of them was cheerful and benevolent, full of warmth and cordiality. It is observed not only in separate instances, but also in rather large-scale collective caricatures, where outstanding masters of all generations are presented together. In these works specificity is connected with the context and becomes even more convincing and artistic.










Political caricatures are quite different, the author is less tolerant here. The scathing satire and sharp criticism of these caricatures have something in common with Daumier's tradition (concerning rather their spirit than the form). I doubt if any other Georgian artists have ever created such bold and sometimes unmasking works. I am sure he did it for the love of his country and for some foul motives. At present we consider our country's future development from the point of view of democracy, but at that time these caricatures meant progress in freethinking despite the fact that some people might not like it.







**Samson Lejava**

















# Յայտնաշուրթ 1971 նվաճել!














































## ძღვნად მეგობარსა და სულიერ ქმას, მხატვარ გურამ დოლიძეს

უყვარდი ყველას, ვინც კი გიცნობდა,  
ყველა გიყვარდა, თქვენც წრფელი გულით,  
უფალმა მოგცა, ნიჭი და ძალა  
და აგამალლა თქვენ სრული სულით.


ოქროს ხელები, რომ გქონდა, კარგო,  
თქვენმა ნაცნობმა სუყველამ იცის,  
იყავ სამშობლოს მოჭირნახულე,  
ერთგული იყავ, სიტყვის და ფიცის...

ნათელი კვალი დატოვე ყველგან,  
რითაც ახარე გულწრფელად ერი,  
სამშობლოს ფუძე უმტკიცე მყარად,  
აღონე ქვეყნის ვერაგი მტერი...

ალბათ, ვიხილავთ თქვენს ალბომს მალე,  
სრულ უკვდავებას რაც მოგანიჭებს,  
რომ იყავ დიდი, სახელოვანი  
არ დაუტოვებს არავის იჭვებს...

ღმერთმა გაცხონოს, სპეტაკო გურამ,  
თქვენნაირები არა კვდებიან,  
მხოლოდ და მხოლოდ გარდიცვლებიან  
სამარადისოდ ხალხთან რჩებიან...

**შალვა მუმლაძე**  
**04.06.2010 წ.**



## გურამ ღოციძის გახსენება

ძალიან ძნელია მოგონება დაარქვა გახსენებას იმ ადამიანისა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შენს გვერდით იყო და ერთად იხსენებდით ამ ქვეყნიდან წასულ ახლობლებს. არა და ის მოგონება იწყებოდა და თავდებოდა მისი ბიძისა და ჩემი დიდი მეგობრის, ხატვის უდიდესი პედაგოგისა და გრაფიკოსის, პროფესორ შოთა კუპრაშვილის ხსენებით.

გურამ დოლიძესთან, ამ ნიჭიერ და შესანიშნავ ინტელიგენტ პიროვნებასთან ჩემი ცხოვრების თითქმის 60 წელი მაკავშირებს. ამიტომ, წარმოიდგინეთ, ჩემი დიდი წუხილი მისი ასე ჩუმად წასვლის გამო.

გურამ დოლიძეს საზოგადოება იცნობდა, როგორც ძლიერ კერამიკოსსა და მხატვარს. არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი იუმორი. ის ხომ ჭეშმარიტი გურული იყო და წარმოიდგინეთ გურულობამ სძლია. იგი ნიჭიერ კარიკატურებს ქმნიდა. უფრო მეტიც, აკადემიაში პირველივე შემოქმდებითი ნაბიჯები მან იუმორისტული ნამუშევრებით გადადგა, რაზეც მეტყველებს მის მიერ ფაიფურში შექმნილი

იუმორი. ის ხომ ჭეშმარიტი გურული იყო და წარმოიდგინეთ გურულობამ სძლია. იგი ნიჭიერ კარიკატურებს ქმნიდა. უფრო მეტიც, აკადემიაში პირველივე შემოქმდებითი ნაბიჯები მან იუმორისტული ნამუშევრებით გადადგა, რაზეც მეტყველებს მის მიერ ფაიფურში შექმნილი




სადიპლომო ნამუშევრები, მცირე ფორმის ქანდაკებები თემაზე — „კლდიაშვილის შემოდგომის აზნაურები”, რომლებიც საოცარი იუმორითაა გადაწყვეტილი. მისი მეგობრული შარულები ყოველთვის სითბოთი იყო გაუღენთილი. სხვანაირად ვერც დახატავდა, რადგან თვითონ გურამი იყო უწყინარი, მომლიმარი და იუმორით სავსე პიროვნება.

უნდა აღინიშნოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა სამხატვრო აკადემიაში. პედაგოგობა უდიდესი ნიჭია და უფალმა გურამს მხატვრობის გარდა პედაგოგობის ნიჭიც უხვად დააბერტყა.

პროფესორი გურამ დოლიძე უზომოდ უყვარდათ აკადემიის როგორც პედაგოგებს, ასევე სტუდენტებსაც. ეს განსაკუთრებით გამომჟღავნდა მისი უკანასკნელი „სტუმრობიდან“ აკადემიის კედლებში. საიდანაც იგი უკანასკნელ გზაზე გააცილეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და გულდაწყვეტილმა სტუდენტებმა.

ნათელში იყოს გურამის სული!

**თემო ჭყონია**





„მზესუმზირები“. მოზაიკა  
“Sunflowers”. Mosaic



დეკორატიული მოტივი. ჭედურობა  
Decorative motive. Stamping



მოზაიკა  
Mosaic





გურამ დოლიძე, ელდარ ციციშვილი. „ბოროდინოს ბრძოლა“. ტილო, ზეთი  
Guram Dolidze, Eldar Tsitsishvili. "Battle at Borodino". Oil on canvas


## გურამ დოლიძის ხსოვნას

ცნობილი გრაფიკოსი, მცირე კერამიკული პლასტიკის შესანიშნავი ოსტატი, მახვილგონივრული კარიკატურების ავტორი, საუკეთესოთაგანი პედაგოგი და რაც უმთავრესია, არაორდინალურობით გამორჩეული პიროვნება, ბატონი გურამ დოლიძე ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება ადამიანური მზრუნველობის, ყურადღებიანობისა და გულისხმიერების განსახიერებად. მასთან ყოველი შეხვედრა დასამახსოვრებელი იყო. განსაკუთრებული ემოციურობა ახასიათებდა, შეფასებებშიც არაიშვიათად მაქსიმალისტი იყო, რის გამოც ზოგჯერ შეიძლება გაგჭირვებოდა კიდეც მისი რადიკალური უკომპრომისობის ბოლომდე გაზიარება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: განზედომას, გულგრილობას, „სულ ერთიას“ უპოზიციონას ვერავინ დასწამებდა. დიდი, მხურვალე, წრფელი პატრიოტიზმი გამოარჩევდა და ბუნებრივია, რომ საქართველოს ბოლოდროინდელი მძიმე ტრაგედიები უდიდეს ტკივილს აღძრავდა მასში. თუმცა მაინც ოპტიმისტი გახლდათ და დიდი იუმორიც ახასიათებდა.


იერითაც ყოველთვის მოწესრიგებული, იგი ესთეტიკური დახვეწილობის მოტრფიციალე იყო. ეს ნიუანსი ჩემთვის კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, როდესაც ბატონი გურამის ლექსებს გავეცანი. ისინი ლაზათიანი, მიმზიდველი კალიგრაფიის მქონე ხელმოსმით არის წარმოდგენილი, რაც არსებითია. ეს ყოველივე ხომ „დამატებით“, თუმცა მნიშვნელოვან ელფერს სძენს მის პოეზიაში გამოხატულ ფაქიზსა და თანაცვეპირულვნელ გულისნადებს (რომელშიც „სოფლის სამდურავისეული თემატიკის სინალდე და ურყევი მსოფლმხედველობრივი

## In memoriam of Guram Dolidze

The famous graphic artist, wonderful master of small ceramic sculpture, author of witty caricatures, one of the best teachers and above all an extraordinary person Guram Dolidze will always dwell in my memory as a personification of responsiveness, thoughtfulness and empathy. Each contact with him was unforgettable. He was characterized by extreme emotionality and he was frequently a maximalist in his opinions so that sometimes it was not easy to fully share his uncompromising attitudes. However, one thing is definite: no one could have accused him of indifference and nonchalance. He was notable for his ardent sincere patriotism and it is natural



„ნიღბები“. ქალალდი, გუაში. 1993  
“Masks”. Paper, gouache. 1993



„პარიზი, მონმარტრი“. ქაღალდი, გუაში. 1974  
“Paris, Monmartr”. Paper, gouache. 1974

ორიენტირები დიდი შინაგანი მღელვარებით არის გამოთქმული). ვფიქრობ, ეს არაა „საშინაო“ შემოქმედება, არამედ მართლაც ფასეულია და გამოსამზეურებელიც არის, მით უმეტეს, რომ გაცილებით სრულად ცხადყოს პიროვნების მრავალმხრივობას.


მრავალმხრივობა კი ახასიათებდა პირველყოვლისა, როგორც პროფესიონალ მხატვარს. ერთ კარგ ოსტატს უთქვამს. სადაც ფორმაა, იქარის მხატვარიო. სწორი დაკვირვებაა! რომელსამე სფეროში ჩაკეტვა არც იყო ბატონო გურამის სტიქია. ამიტომაც მოხდა, რომ მან როგორც სახვითი, ისე ე.წ. „გამოყენებით“ ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებულად მოსინჯა თავისი შესაძლებლობანი.

ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში (მაინც რა საინტერესო პერიოდი იყო მაშინ!) მან თავისი ძალზე ორიგინალური სადიპლო-

that Georgia's latest tragedy caused him great pain. Though he was an optimist and had a sense of humour. Always neat in appearance, he admired aesthetic perfection. This nuance became even more obvious to me after I read his poems. They were written in a neat attractive hand. All this added an important shade to his dearest sincere thoughts and feelings mirrored in his poetry. Guram Dolidze's poems with great inner agitation express his attitude to life and the world. I think these poems are of great value and must be published in order to fully show the person's polygonality.

Versatility characterized him, first of all, as a professional artist. As a certain expert once said, where there is form, there is an artist. A correct observation indeed! He was never locked only in one definite branch of art. Therefore, he succeeded in different branches of both Fine Arts and so-called applied arts.

As far back as the 1950s (what an interesting period it was!) his original degree work drew the general public's attention (at that time our artist was inspired by Davit Kldiashvili's writing). Guram Dolidze in a masterly fashion created small ceramic sculptures which attracted attention by their authenticity and their natural peculiar to Kldiashvili grotesque style, plastical vivacity and rhythmically rich dynamics and "artistic precision". His supervisor was Davit Tsitsishvili, a figure equal to William Morris in his significance to our culture. The great researcher, patriarch of Georgian art criticism Giorgi Chubinashvili liked these small sculptures very much and his appreciation was of great importance. Guram Dolidze's graphic works are of no less importance. No doubt among the fine portraits drawn by G.Dolidze and connected with some definite artistic tasks "An Old Jew" is the most impressive



„სატანას ზემო საქართველოში“. ქაღალდი, ტუში. 1992  
“Satan’s feast in Georgia”. Paper, ink. 1992

მო ნაშრომით, მიიპყრო ფართო საზოგა-  
დოების ყურადღება (ჩვენი მხატვარი დავით  
კლდიაშვილის მწერლობით იყო იმხანად  
შთაგონებული). ბატონმა გურამმა შესანიშ-  
ნავი ოსტატობით შეასრულა მომცრო, „უა-  
რული“ კერამიკული სკულპტურის ნიმუშე-  
ბი, რომლებიც დახასიათების სიმახვილით,  
კლდიაშვილისეული სამყაროსათვის ბუნე-  
ბრივი გროტესკულობით, პლასტიკურად  
ცოცხალი და რიტმულად მდიდარი დინა-  
მიკის მიზნობრივისახასიათობით და „მხა-  
ტვრული სიზუსტით“ იმთავითვე იქცევდა  
ყურადღებას. ხელმძღვანელი იყო ბატონი  
დავით ციციშვილი, რომელიც ალბათ უი-  
ლიამ მორისის დარი ფიგურაა ჩვენს კულ-



one, it is distinguished by its internal meaning, keen insight and artistic merit. G.Dolidze's as a graphic artist's accuracy shows itself in his imaginative, sometimes phantasmagoric works characterized by organic ornamentality, line flexibility and here and there by orientally coloured accentuation and emphasizing of life. In a number of such pictures harmony sometimes triumphs (e.g., noble Georgian women's slightly romanticized and idealized images look as if remind us of Akaki's poetic icons of ancient Georgia). Gloominess and sometimes even horror prevail in some others.

They may be connected with religious themes, though in socially and politically



„სოციალიზმის იდეოლოგია“. ქაღალდი, ტუში. 1985  
“Ideology of socialism”. Paper, ink. 1985

ტურაში. ამ ნამუშევარმა დიდი მკვლევარის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის პატრიარქის, ბატონი გიორგი ჩუბინაშვილის დიდი მონონება დაიმსახურა და ეს ცოტას როდი ნიშნავს!

არანაკლებ საგულისხმოა ბატონი გურამის გრაფიკა. უთუოდ მაღალი დონის პორტრეტთა რომელნიც ამა თუ იმ კონკრეტულ მხატვრულ ამოცანებს უკავშირდება, ყველაზე შთამბეჭდავია „მოხუცი ებრაელი“ — შინაგანი მნიშვნელობებით, პიროვნულობის გახსნითა და ტევადი ხატოვნებით.

ბატონი გურამის, როგორც გრაფიკოსის სიფაქიზე ჩანს მის წარმოსახვით, ზოგჯერ ფანტასმაგორიულ ნამუშევრებში, სადაც

meaningful other sharply critical works (if considered from the point of view of the world mirrored in them but not their form) might be connected with Kalo, Manisco and Goya, however, they are more reminiscent of Gudiašvili's spectacles. Besides, here the artist's singularity of vision and uniqueness of assessments become clear. A tragic element prevails in of these works.

G.Dolidze worked very much (and all over the former USSR) on creating ornamental compositions in many cities so that his artistic inheritance is considerable from this point of view as well (and this fact is unanimously stated by many researchers).

შეიცნობა დეკორატიულობის ორგანულობა, ხაზის მოქნილობა — სიცოცხლის ზოგან ორიენტალურად შეფერილი გამძაფრება და გამახვილება. ასეთი რიგის სურათებში ხანდისხან ჰარმონია იმარჯვებს (მაგ. კდემამოსილი ქართველი ქალბატონების ოდნავ რომანტიზირებულ-იდეალიზირებული იერი ერთგვარად თითქოს ძველი საქართველოს აკაკისეულ პოეტურ ხატებს მოგვაგონებს). სხვებში მეტია სიპირქუშე, ზოგჯერ კი შემზარავობაც კი. ისინი შეიძლება რელიგიურ თემებთან დაკავშირებული იყოს, თუმცა სოციალურ-პოლიტიკური დამხრობის მქონე სხვა მძაფრად კრიტიკისტული ნაწარმოებებში საკუთრივ სამყაროს და არა ფორმის თვალსაზრისით იქნებ კალოს, მანიკსკოს და გოიას ...თან შეხებაც კი ჩანდეს, მაგრამ უფრო თვალსაჩინოა შეხვედრა გუდიაშვილისეულ სახილველთან. აქვე ნათელია, რომ ხედვის ორიგინალურობა შეფასებათა თუ „მხატვრულ განსჯათა“ თავისთავადობა წმინდაწყლის ავტორისეულია. ტრაგიზმის განცდით მრავალგან დამძიმებულია ეს ნამუშევრები.

ბევრს მუშაობდა ბატონი გურამი (თანაც მთელი ყოფილი სსსრკ-ს მასშტაბით) დიდი ზომის დეკორატიული კომპოზიცების განსახორციელებლად მრავალ ქალაქში, და ამ თვალსაზრისითაც (რასაც ერთსულოვნად აღნიშნავენ კიდეც მკვლევარნი), მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

რაც შეეხება მის იუმორისტულ (და აგრეთვე სატირულ) გრაფიკას: მეგობარ და ახლობელ მხატვართა შარჟებში ზუსტად „ჩავლებული“ სახასიათო ნიშნები გარკვეული ზომიერების ფარგლებშია აქცენტირებული, ხედვა კი „მხიარულია“ კეთილგანწყობით, სითბოთი და გულითადობით არის სავსე. ეს ჩანს არა მხოლოდ ცალკეულ მაგალითებში, არამედ საკმარისად მასშ-



As for his humorous (as well as satirical) graphic works, in well-meant caricatures of his friends he accurately grasped and moderately accentuated their characteristic traits, his vision of them was cheerful and benevolent, full of warmth and cordiality. It is observed not only in separate instances, but also in rather large-scale collective caricatures, where outstanding masters of all generations are presented together. In these works specificity is connected with the context and becomes



გურამ დოლიძე, ელდარ ციციშვილი. „კომპოზიცია“. ტილო, ზეთი  
Guram Dolidze, Eldar Tsitsishvili. "Composition". Oil on canvas

ტაბურ, „პანოსებურად კრებით“ კარიკა-  
ტურებში, სადაც „თავი მოუყრია“ თითქმის  
ყველა თაობის გამოჩენილი ოსტატს. ამ  
ნამუშევრებში დამახასიათებლობა — ურ-  
თიერთმიმართებათა კონტექტუალურო-  
ბასთან კავშირში, კიდევ უფრო სარწმუნო  
და ხატოვანი ხდება.

სულ სხვა რიგის გახლავთ პოლიტიკუ-  
რი კარიკატურები, რომლებშიც ავტორი  
ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენს. თავისი  
მძაფრად მწვავე სატირულობით და რამ-

even more convincing and artistic.

Political caricatures are quite different, the author is less tolerant here. The scathing satire and sharp criticism of these caricatures have something in common with Daumier's tradition (concerning rather their spirit than the form). I doubt if any other Georgian artists have ever created such bold and sometimes unmasking works. I am sure he did it for the love of his country and for some foul motives. At present we consider our country's future



„დიონისე“: ქაღალდი, გუაში  
“Wedding of Dionysus”. Paper, gouache



„ქალის ფიგურა“. თაბაშირი  
“Figure of woman”. Plaster

დენადმე უკმეხი კრიტიკული პათოსით ეს სერიალი გარკვეულწილად დომიეს ტრადიციასთან ჰქოვებს გადაძახილს (უფრო განწყობით, ვიდრე აღნაგობით). სატირულობის სიმძაფრითა და დამაფიქსირებლობით ვეჭვობ, სხვა რომელსამე ჩვენს მხატვარს შეექმნა ასეთი გაბედული, ზოგან კი მხილებითი ნაწარმოებები. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველსავე ამას კვლავ და კვლავ ქვეყნის სიყვარულით, „მოყვარეს პირში უძრახე“ პრინციპით ახორციელებდა და არასგზით, რაიმე სხვა, უფრო ვიწრო მოტივითა თუ ინტერესით. თუკი ჩვენი ქვეყნის მომავალს და მის განვითარებას დემოკრატიულობის პოზიციებით ვჭვრეტთ, მაშინ ეს სერია წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენში თავისუფალი აზრისა და არაკონიუნქტურული პოზიციათა დამკვიდრების გზაზე, იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონს თუ არ მოსწონს ეს ვისმეს.

გურამ დოლიძე მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა თავდადებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას სამხატვრო აკადემიის კედლებში. იგი სტუდენტთა ინტერესებით სულდგმულობდა და მთელ თავის მრავალნლიან გამოცდილებას მართლაც უშურველად უზიარებდა თავის შეგირდებს, რომელთაგანაც ბევრი მოგვიანებით მისი უმცროსი მეგობარიც გახდა. ბატონ გურამის საქმიანობა ღირსეული გაგრძელება იყო იმ დიდი პედაგოგიური ტრადიციისა, რასაც ამკვიდრებდნენ მისი აღმზრდელები — ვ. შუახევი, ს. ქობულაძე, დ. გაბაშვილი და სხვა გამოჩენილი ოსტატები. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო მისი მართალია მოკლე, მაგრამ პროფესიული სიზუსტითა და დიდი გამოცდილების მიზანმიმართულობით გამორჩეული თეორიული ნაწერები, რომლებშიც ვლინდება გერმანული გეტალტფსიქოლოგიური კონცეპციის ანა-



„ნადირობა“. ქაღალდი, გუაში  
“Hunting”. Paper, gouache

development from the point of view of democracy, but at that time these caricatures meant progress in freethinking despite the fact that some people might not like it.

For many years Guram Dolidze taught at the Academy of Arts. He was always guided by his students' interests and generously shared his abundant experience with them. Many of his students later became his friends. Guram Dolidze's activity in the sphere of education was worthy of that great pedagogical tradition which was set up by his teachers – V.Shuakhevi, S.Kobuladze, D.Gabashvili, and other prominent masters. It is just from this point of view that his short but professionally exact theoretical writings deserve consideration. They are analogous of German Gestalt psychology conception, but give us his findings and conclusions based on his abundant

ლოგიური, ოღონდაც მყარ და ხანგრძლივ საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული დიკვირვებები და დასკვნები.

სამნუხაროა, რომ ბატონი გურამი ვეღარ მიიღებს მისთვის ესოდენ სასურველ მონაწილეობას მომავალი თაობის აღზრდის პროცესში, რომელსაც ხშირად აკლია მისებრ ნიჭიერი, კომპეტენტური და გულმხურვალედ თანამდგომი გზისგამკვალავნი. მისი გარდაცვალებით ძალიან გაღარიბდა სამხატვრო აკადემიის სივრცე — აკადემიას მოაკლდა ბატონი გურამის თავდაუზოგავობა, ახალგაზრდული მგზნებარება, დაუმორჩილებელი ენერგიულობა და იშვიათი შემართება.

experience.

Unfortunately, Guram Dolidze will no longer take part in educating future generations which often lack such gifted, competent and sympathetic tutors. His death impoverished the Academy of Arts which lost Guram Dolidze's selflessness, youthful ardour, passionate temperament, inexhaustible energy and rare enthusiasm.

**Samson Lejava**

### სამსონ ლეჯავა



დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. კერამიკა  
David Kldiashvili's "Stepmother". Ceramics

გურამ დოლიძე

102 |







დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. ქერამიკა  
David Kldiashvili's "Stepmother". Ceramics





„ყორანი“. კერამიკა  
“Crow”. Ceramics



„მკითხავი“. კერამიკა  
“Fortuneteller”. Ceramics



„შიშველი ფიგურა“. კერამიკა  
“Naked figure”. Ceramics



„კომპოზიცია“. კერამიკა  
“Composition”. Ceramics

## 3ებ შევანიე სიცყვა ღამაზი

მოგვიგონებენ შესანდობარით  
და ჩვენი ბედი შეეხარბებათ.  
ი. გრიშაშვილი

ჩემს შეხნიერებულ ცხოვრებაში მრავალ თვალგასახარ დღესთან ერთად ბევრი გულისტ-კივილი და დარდიც მქონია. განსაკუთრებით ბოლო უამს, როცა ერთი-მეორის მიყოლებით ძმად შეზრდილი კაცები ხელიდან მეცლებიან და იმკვიდრებენ ადგილს ცასშეკიდულ წინაპარ-თა სულებით შუქმოფენილ თანავარსკვლავებში. მიდიან და აქ უსაზღვრო ტკივილს, სევდასა და მონატრებას გვიტოვებენ...

ახლაც წავიდა კაცი, — რუდუნებით მოფუსფუსე თავანკარა ნიჭის მხატვარი, კვიმატნა-რევი ენით სიტყვამართალი, სამშობლოს სიყვარულში დამაშვრალი მამულიშვილი. გურამზე მოგახსენებთ, დოლიძეზე, ჩემს მეგობარსა და მრავალთა საყვარელ კაცზე, კაცზე, რომელიც ასე იყო შესისხლხორცებული თბილისზე და რომელთანაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გავლიერობის მოიხედავ და, თითქოსდა, რაღაა ეს ნახევარი საუკუნე, სულ რაღაც 50 წელიწადი; მაგრამ ადამის მოდგმისთვის, ვისთვისაც უფალს მხოლოდ „წუთისოფელი“ უბოძებია, ეს ის დროა, რო-



დემურ ბაშალეიშვილი და გურამი  
Demur Bashaleishvili and Gurami



საქართველოს პუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის წევრები  
Members of Academy of Humanitarian and Art Sciences

მელიც ქმნის ადამიანთა ურთიერთობებით ჩამოქნილ ისტორიას, ჩვენი ცხოვრების ქორონიკონს, აღსავსეს ცადასული სიხარულითა და გულის გასკდომამდე მიყენებული ტკივილით. აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე, საიუბილეო სამზადისში რომ იყო, გურამმა მეგობრის პირით შემომითვალა: იუბილეზე მითამადე და ლამაზი სიტყვაც შემანიერ. ვაგლახ, ვერ ვუთხარი ლამაზი სიტყვა, — სანამ ოთხმოცს მიატანდა, რამდენიმე დღით ადრე გულმა უმტყუნა...

გურამ დოლიძემ, — შეუპოვარმადა კაცად-კაცობით ღირსყოფილმა ხელოვანმა, — ღვთით-მიმადლებული ნიჭით შექმნილი ეროვნული ნიშან-თვისებით შემკული ფერწერული, გრაფიკული და მონუმენტური ნაწარმოებები მრავლად დაგვიტოვა. მათი ღირსებისა და მნიშვნელობის შესახებ, როგორც ვიცი, სხვები წერენ და მე თავს არ შეგანყენთ. მის კარიკატურებზე კი გეტყვით, რომ ოსტატურად შესრულებული სატირული ნახატები შიგ კაკალ გულში ხვდება და ასახავენ ჩვენივე ხელით დანგრეული და სულ-ხორცგაძარცვული ქვეყნის ვარამსა და სიხარულს, ერთმანეთისაგან განაპირებული და გაუცხოებული ქართველების სულის ტკივილს.

საგანგებოდ უნდა მოვიხმო მისი ლექსები, ჟლერადი, ესთეტიკური და ემოციური, როგორც ავტორი მისი. კითხულობ და არა მხოლოდ გესმის გულდაკოდილი კაცის მართალი სიტყვა, ხედავ კიდევ პოეტურად განფენილ პლასტიკას და ამიტომაცაა, რომ იგი ბოლომდე ჩაგეღვენთება სულის ფსკერზე. აბა, ყური მიუგდე, ეს გურამ დოლიძეა:

კარგია, როცა ვინმე გიყვარს  
შენ თავზე მეტად.  
და არ დაძრნიხარ ქვეყანაზე  
ეულად, კენტად.



დემურ ბაშალეიშვილი და გურამი  
Demur Bashaleishvili and Gurami

თუნდაც ის ვინმე ალარ იყოს  
ამქვეყნად შენთან,  
გარდასულიყოს საუფლოში,  
ნათელში ღმერთთან.  
კარგია, როცა ვინმე გიყვარს  
შენ თავზე მეტად...

როგორია, ჰა? ასე წყალუკრავ ლვინოსავით ალალი კაცი თუ იტყვის მხოლოდ. გურამმაც უყვედრებლად მოგვაძახა და დაგვიდასტურა, რა უკიდეგანოა მისი მხატვრული აზროვნების შესაძლებლობები და, როგორც დიდი რუსთველი ბრძანებდა:

დია, ღმერთო, წინაშე ვარ,  
ესე ჩემგან დადასტურდა.

გულზე ლოდად მაწევს, რომ ვერ აღვუნიშნეთ სამშობლოს სიყვარულსა და უანგარო სამსახურში უზადოდ გახარჯული 80 წელიწადი და ლამაზი სიტყვაც ვერ შევაწიე; მაგრამ გულისძირიდან ამოშანთული ჩემი ტკივილი გამოსათხოვარია ჩემს მეგობართან, შესანდობარია თბილისზე ასე მოხდენილი გურამ დოლიძისა, ახლა ზეციურში დამკვიდრებულ კაცად-კაცების

თვალწარმტაც გალერეაში რომ პოვა სამარადჟამო ადგილი.

საოცრებებით აღსავსე სამყაროდან გარდასული, ვითარცა ლამპარად ანთებული სახელი, იგი მოუშუშებელი ტკივილითა და მონატრებით სამუდამოდ ჩასახლდა ჩვენს მეხსიერებაში.

განუსვენე უფალო, სულსა მონისა შენისა და ნათელში ქმენ სული მისი ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

**დემურ ბაშელეიშვილი,**  
საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თბილისი,  
10 ივნისი, 2010



დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“. კერამიკა  
David Kldiashvili's "Stepmother". Ceramics



მამის პორტრეტი. ქაღალდი, ფანქარი  
Portrait of Father. Paper, pencil




ბებიას პორტრეტი. ქაღალდი, ფანქარი  
Portrait of Grandmother. Paper, pencil




მამაკაცის პორტრეტი. ქაღალდი. ფანქარი



ალიკა გორგაძის პორტრეტი. ქაღალდი. ფანქარი




გოგონას პორტრეტი. ქალალდი. სანგინა



მამაკაცის პორტრეტი. ქალალდი. სანგინა


მოკრივეს პორტრეტი. ქალალდი. სანგინა




სერგო ქობულაძის პორტრეტი. ქაღალდი, ფანჯარი  
Portrait of Sergo Kobuladze. Paper, pencil




ნიკოლოზ დოლიძის პორტრეტი. ქაღალდი, ფანჯარი  
Portrait of Nikoloz Dolidze. Paper, pencil




შიშველი ფიგურა. ქალალდი. ფანჯარი



შიშველი ფიგურა. ქალალდი. ფანქარი




მამაკაცის პორტრეტი. ქალალდი. ფანქარი




გოგონას პორტრეტი. ქალალდი. ფანქარი



ქალის პორტრეტი. ქალალდი. ფანქარი



მამაკაცის პორტრეტი. ქალალდი. ფანქარი



მოხუცის პორტრეტი. ქალალდი. ფანქარი



ესტონეთი  
ე. ე. ე.  
ესტონეთი  
1969 წ.  
22 ივნისი, მ.

ავტოპორტრეტი. ქაღალდი. ფანჯარი  
Self portrait. Paper, pencil